

თარგმანი
TRANSLATION

მემდუპ შევექეთ ესენდალი (1883-1952) –
„მადლიერების ყვაგილი“

ნატო ხარშილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიო უნივერსიტეტი
საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0001-8366-8820>

აბსტრაქტი.

თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი მემდუპ შევექეთ ესენდალი დაიბადა 1883 წელს თურქეთში, ქ.ჩორლუში. ახალგაზრდა ასაკში „თურქეთის პროგრესის გაერთიანებული საზოგადოების“ წევრი გახდა, სადაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა. იღებდა მონაწილეობას ანატოლიაში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობაში. ანკარის მთავრობის მივლინებით 1921 წლიდან ეწეოდა დიპლომატიურ სამსახურს ბაქოს, თეირანისა და ქაბულის საელჩოებში. თურქეთში დაბრუნების შემდეგ სტამბოლის საშუალო სკოლებში მასწავლებლად მუშაობდა. ესენდალი ელაზიქის და ბილეჩიქის დეპუტატი იყო. 1945 წლიდან პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა და ლიტერატურის სამყაროში დაიმკვიდრა ადგილი. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მისი მოთხრობები. ესენდალის ნაწარმოებების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ნაზი, სადა, სუფთა თურქული ენა და წერის მარტივი სტილი. მწერალი 1952 წელს ანკარაში გარდაიცვალა. მის კალამს ეკუთვნის მოთხრობები: „მადლიერების

ყვავილი“, „მანდილის ქვეშ“, „სერჟანტი ვეისელი“ „კალია“ „ჩვენი ნესიბე“... რომანი: „აიაშლი და მისი მოიჯარეები“.

სკვანძო სიტყვები: ომი; გმირი; ბრმა; ყვავილები; სიყვარული.

თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

„მადლიერების ყვავილი“

პენსიაზე გასული, მოსახლეობის აღმწერი დაწესებულების დირექტორი, აწ უკვე გარდაცვლილი ნეჯიფ ეფენდის ქალიშვილი ბედრიე და ეფენდ აჰმედ სიმქემის ვაჟი, ლეინტენანტი სელიმი დაინიშნენ. მეზობლები იყვნენ, გოგო თვრამეტი წლის, ვაჟი კი- ოცდაერთის. იმ წელს ემიგრაცია ჯერ დაწყებული არ იყო.

გოგოები ვაჟებს ენახებოდნენ, თუ ერთმანეთი მოეწონებოდათ, ინიშნებოდნენ და ოჯახდებოდნენ. ამ საქმეში დედები და უფროსი დები ეხმარებოდნენ. დანიშნულებს პაემანზე შეხვედრის უფლება ჰქონდათ უკვე. მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ახერხებდნენ მორიდებულ საუბარს. მაგრამ არც გულის აფრიალება, არც ფერის დაკარგვა და ენის დაბმა მაშინდელ ახალგაზრდებს არ ემართებოდათ. სახლში მოსულები მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ: „რა ვუთხარი? მან რა მითხრა?“...

შუა დღის სიჩუმეში ბედრიე ქსოვს. ფანჩატურის მწვანე ჩრდილები ავსებს ოთახს. თანდათან ჩამოხნულდა. ბიჭი გოგოზე ფიქრობს, ეღიმება. მორცხვია და ყურებამდე წითლდება. არ არის მთლად კარგი ასეთად დარჩენა. ვერ გაზრდის ის სიყვარულს!

ბედრიეს ოჯახში მიღებული ზილჰა ქადინის დახმარებით მოახერხეს შეყვარებულმა მეზობლებმა ხუთი წუთით შეხვედრა. ხელებიც ჩასჭიდეს ერთმანეთს. ეს ჩვეულებრივი ლაპარაკი არ იყო, უფრო შეთანხმებას ჰგავდა. დამშვიდობებისას ძლივს დააშორეს ხელები ერთმანეთს.

ერთ კვირაში სელიმი ხელშეკრულებით სტამბოლში წავიდა, იქიდან თავის ქვედანაყოფში გაგზავნეს. მალე არეულობა დაიწყო. მობილიზაცია და მერე ომი ატყდა...

ცოტა შიში არის მათში, ვინც პირველად ნახა ომი. მაგრამ ადამიანს თუ ეშინია, თავს არ უნდა დააჯეროს, რომ ვერ იომებს. თან ეშინია, თან იბრძვის. მტრის ძალისხმევას შეუპოვრად ეგებება, რადგან სამშობლო აქვს, სამშობლოში კი ბედრია. მისი ხელის სიმხურვალე ვაჟს ჯერ კიდევ წვავს ხელის გულს. თმები წარბებამდე რომ აქვს ჩამოყრილი, ის ლამაზი გოგო... მხოლოდ ამან შეიძლება აიძულოს კაცი ცეცხლს შეუტოს. მშიშრებს არა, მაგრამ ვისაც გულში სიყვარული არ აქვს, ბრძოლა არ შეუძლია. მათი შინაგანი ხმა დუმს. იცოცხლებენ, ბევრ სიტყვას იტყვიან, მაგრამ საქმეს ვერ გააკეთებან, არ შეუძლიათ ბრძოლა, სხვა მებრძოლებსაც დააბრკოლებენ.

სელიმი სამ თვეში შეეჩვია ომს და სანგარში ყოფნას, ძალიან საჭირო ადამიანი იყო ბრძოლის ველზე... ამასობაში ხელში დაიჭრა და სტამბოლში გადაიყვანეს. ორი თვის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის ქვედანაყოფს. მეგობარ ნედიმთან ერთად მეორეჯერ დაჭრეს. ნედიმს კისრის ძვალი მოტყდა და გარდაიცვალა. სელიმს ფილტვში ორი ტყვია მოხვდა და თოფის კონდახით თავის ძვალი გაუტეხეს. არ მომკვდარა, მაგრამ ორივე თვალში მხედველობა დაკარგა.

ერთ დღეს საავადმყოფოს საწოლში მწოლიარეს თვალები უნდა გაეხილა. თითქოს, ორივე თვალში ღრმა სიბნელე ჰქონდა ჩამარხული. ვერაფერს ხედავდა. ხელით ქუთუთოებს შეეხო... რა მტკივნეულია ამის გაგება. განსაკუთრებით, პირველ დღეებში!

თავიდან ექიმები ვერ ეუბნებოდნენ სიძარტელს.

„ქუთუთოები ნელ-ნელა გაიხსნება, შეიძლება ცოტა კვალი დარჩეს“-ო უთხრეს.

შიშით სავსე იმედეები!..

ფილტვში მოხვედრილი ტყვიებიდან ერთი ამოიღეს, მეორე ვერა. რადგან გადარჩა, ექიმები ცას ეწიენ სიხარულით. რა

უხაროდათ ნეტა? ოცდასამი წლის ბიჭი და ორივე თვალით ბრმა! აბა, ეს არის საქმე?

თვალეზს ხელეზით ეხეზბა, გვერდით მყოფ პაციენტებს ეკითხეზბა... გარეგნულად არ ეტყობა. მართალია რასაც ექიმეზბი ამზობენ? ნელ-ნელა დაინახავს? დროდადრო ეჩვენეზბა, რომ ერთ თვალში რაღაც სინათლეს ხედავს. გარინდული ცდილობს უყუროს და არ დაკარგოს ეს იმედი. თუ დაზრმავდა, წუხილისგან თავის დახსნის ერთადერთი გზა ხახაში იარალის ჩადეზბა და გასროლავა.

სელიმს არ აქვს სიკვდილის შიში. იქ ხომ სიზნელე არ არის. ბოლოს რომ დაიჭრა, არაფერი უგრძენია. ბრმად ყოფნას სიკვდილი უჯობს. ცოტა რომ მოცოცხლდა, გერმანიაში გაგზავნეს. გასინჯეს, გამოიკვლიეს, კონსულტაციეზბი გაიარა. შემდეგ, იქაურმა ექიმეზბმა აქაურეზბის მსგავსად:

-რა თქვეს თურქმა ექიმეზბმა?

-ნელ-ნელა დაინახავო, მეუზბნეზბიან.

-ჩვენც ასე ვფიქრობთ, არ უნდა შევეხოთ, უნდა დაველოდოთ!

ვილტვში ტყვიასაც არ დააკარეს ხელი.

გერმანიიდან რომ დაზრუნდა, არ იცოდა რა ეკეთეზბინა. მშობლიურ ქალაქზე ეფიქრეზბოდა. არავისთვის მიუწერია წერილი, არც არავისგან მიუღია.

ექიმეზბი მოცდას ურჩევენ. ცოტას მოიცდის. მის ქალაქში გაიგეს ნეტა სელიმის დაზრმავეზბის ამზავი?

ვიდრე სხვა ხელს შეაშველეზბდა, თვითონ დაასწრეზბდა და მკლავში შემომიდექიო, ეტყოდა. მშობლიური ქალაქიდან სტამბოლში ჩამოსულეზბი სადაც ჩერდებოდნენ, იმ სასტუმროს მიაშურა ამბეზბის გასაგეზბად. ტაქსით წავიდა. სასტუმროს მეპატრონე არ დახვდა. დაელოდა. იქ მყოფმა ორმა კაცმა იცნო და მოიკითხეს, ჯანმრთელობის ამზავი ჰკითხეს. ამასობაში სასტუმროს მფლობელიც მოვიდა. მანაც იცნო. სტუმრეზბის ნათქვამიდან როგორც გაირკვა, მშობლიურ ქალაქში ყველას გაეგო სელიმის ამზავი.

- გაიგეს აბა არა?- კვერი დაუკრა მათ სასტუმროს მეპატრონემ.

- დედა ძალიან წუხს თურმე. რომ დამინახოს, უფრო იდარდებს. ვერ გადამიწყვეტია წავიდე თუ დავრჩე - თქვა სელიმმა.

- რატომ არ უნდა წახვიდე? ტავერნაში იყავი თუ საროსკიპოში? - ჰკითხა სასტუმროს მეპატრონემ.

- დედაშენი ჭკვიანი ქალია, უნდა იამაყოს ასეთი შვილი რომ გაგზარდა. ჩვენ ვამაყობთ შენით და ის არ იამაყებს განა?

სასტუმროს მეპატრონე ყვიროდა, სხვები ჩუმად ისხდნენ და უსმენდნენ. გმირის ამბავი ვინც არ იცოდა, მათაც გაიგეს. სელიმს მობეზრდა ქება-დიდების მოსმენა და წასვლა დააპირა. ასეა: ნამდვილი გმირები მათ მიერ გაწეულ სამსახურს დიდ რამედ არ მიიჩნევენ. ცოტა მოფერება და მცირე სიყვარულიც გულს უჩუყებს და ატირებს. სასტუმროს მეპატრონეს სთხოვა, გამიშვიო.

სელიმმა მატარებელში ყოფნისას გაიგო დედის გარდაცვალების შესახებ. მწარედ ატირდა, თუმცა გულის სიღრმეში უხაროდა კიდეც დედამ ამ მდგომარეობაში რომ არ ნახა. სახლი გამოკეტილი დამხვდებო იფიქრა და ბიძასთან წავიდა. რადგან სახეებს ვერ ხედავდა, არ იცოდა როგორ ესალმებოდნენ ბიცოლა, ბიძა და ბიძაშვილები. უსინათლო დისშვილის მოსვლა არც ბიძას გახარებია დიდად და არც ბიძაშვილებს. სელიმს არ სურდა ვინმესთვის ტვირთი გამხდარიყო. დაუხმარებლად ჭამაც არ შეეძლო, თუმცა დახმარების სურვილს დიდად არც არავინ გამოთქვამდა. სელიმმა ეს იგრძნო და ვახშმის შემდეგ თქვა, ხვალ ფატიმას მოვძებნი და სახლს დავალაგებინებო. ამ სიტყვების შემდეგ თითქოს ბიცოლას ხმა მოუღება, ბიძამაც რიხით გააგრძელა ლაპარაკი.

რას იზამ? ასეთია ცხოვრება. ოჯახს თავისი წესრიგი აქვს, მყუდროების დარღვევა ბრმა ადამიანის გამო არავის სიამოვნებს...

ადვილი არ არის ოთახებთან, ავეჯთან, კიბეებთან შეგუება და ყველაფრის გახსენება საკუთარ სახლში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, სელიმის სახლია; არავის თავს არ მოაბეზრებს. მისთვის წვერის გაპარსვა და ჩაცმაც პრობლემაა. ცოტას მაინც რომ ხედავდეს...

სახლში მოსვლის მეორე დღეს სელიმი ქვედა სართულის ოთახში იჯდა.

- სკამი რომ ვიპოვო და სამზარეულოს გვერდით ბაღში დავჯდე; საჭმლის მომზადებაში გართულ ფატმასაც ვესაუბრები - გაიფიქრა. ოთახის კარი ნელა გაიღო. სელიმმა თავი კარისკენ მიაბრუნა და ისე გაიხედა, თითქოს დაინახავდა რამეს. იგრძნო ვიღაც გავიდა ოთახიდან.

- ფატმა, შენ ხარ? - იკითხა სელიმმა. კარს იქეთ ზილჰა ქადინის ხმა გაისმა:

- ჩემო საყვარელო!

- შენთან ერთად არის ვინმე? - ჰკითხა სელიმმა.

- არავინ არის, შვილო... მიუგო ზილჰა ქადინმა.

ტყუილი. ბედრია. კარი ბედრიემ გააღო. სელიმის სანახავად იყო მოსულიყო. ბედრიეს ეგონა სელიმს თვალეზღახუქულს ნახავდა. კაცი პირდაპირ კარისკენ რომ იყურებოდა, ქალმა იფიქრა ხედავსო და შეშინებული უკან გადახტა. ზილჰას თვალეზღახუქით ჰკითხა „ხედავს?“ ქალმა უარის ნიშნად გაუნია თავი.

- მანდ რას დგარხარ, შემოდი? - თქვა სელიმმა.

ბედრიემ ზილჰა ქადინი ოთახში შეუშვა, მაგრამ შემდეგ იქ დარჩა თუ არა, ეგ აღარ იცოდა.

სელიმი ბედრიეზე სიტყვას არავისთან ძრავდა. არც იცოდა რა ეთქვა ამ თემაზე ვინმემ თუ ჩამოუგდებდა ლაპარაკს.

- არასდროს მახსენებს? - ჰკითხა ბედრიემ ზილჰას.

- არა, არასდროს უხსენებია. თუ გინდა ფატმას ვკითხავ.

- არ ჰკითხო. რომ ნდომებოდა, შენ გკითხავდა რამეს.

ამ დროს უბნის ქალებს შორის ჭორი გავრცელდა. სელიმი ქვრივ ქალს თუ იპოვის, ცოლად შეირთავს, მიხედავს მაინცო.

თავად სელიმს უკითხავს ფატმასთვის, ვინმე ქვრივს ხომ არ იცნობო. ფატმამ ხალხში გაავრცელა ეს ამბავი. რა თქმა უნდა, ბედრიემაც გაიგო და ზილჰა ქადინი გაგზავნა ყოფილ საქმროსთან.

ერთ დილას ზილჰა ადრე მივიდა სელიმთან, პირდაპირ დაუჯდა და საუბარი გააბეს. ბედრიეც იქვე, კართან იდგა. ქალი სათქმელზე მალე გადავიდა.

- შვილო, თქვა მან, რაც ჩამოხვედი არ მოგიკითხავს საცოლე. ბეზიაც გარდაეცვალა, იცი? მოხუცი მამისა და შენს გარდა არავინ ჰყავს - უთხრა ზილჰამ.

სელიმი ცოტა ხანს გაჩერდა, შემდეგ ჰკითხა:

- როგორ მოვიკითხო, დაო ზილჰა? ვერ ხედავ რა მჭირს?..

ცრემლები რომ არ ეჩვენებინა, თავი გააბრუნა. ის შიგნით ტიროდა, საცოლე კი გარეთ. ბედრიე გაიქცა და სელიმის მუხლებთან დაეცა.

- რა მოხდა, ძმაო. შენი თვალები თუ ვერ ხედავენ, სული ხომ გაქვს ჯანმრთელი? უცხო ქვრივი უფრო გაგიჩვენს ცოლობას? ბედრიემ თქვა, სხვა ქალის მოყვანას, მე მითხოვოს, განა მე არ ვარ მისი საცოლეო?

სელიმმა თავი ჩაღუნა, სახე არ უჩანდა. შემდეგ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მოიწმინდა. თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა:

„ვეცოდები არა? განა რა დააშავა ბრმა კაცის ცოლი რომ გახდეს. ბედი არ ჰქონია პატარას. ბედი რომ ჰქონოდა, ლეიტენანტი სელიმი არ დაბრმავდებოდა“...

მეორე დილით კვლავ მოვიდა ზილჰა ქადინი. ბედრიეს უთქვამს:

„ბრმაა თუ კოჭლი, განა ჩემი საქმრო არ არის? თუ ნიშნობის გაწყვეტა უნდა, სირცხვილი მას! მე სხვას არ დავუწყებ ძებნას“...

ბედრიემ და სელიმმა ერთად დაიწყეს ცხოვრება. ისევ ატყდა ჭორები. რაც ბედი ჰქონია, ამ ბრმა ბიჭს ჰქონია. აფსუს ბედრიეს სილამაზე!

ისეთებიც იყვნენ, გოგოს საქციელს რომ ამართლებდნენ:

„ყოჩალი გოგო! მის ადგილას მეც იგივეს ვიზამდი“ ამბობდა ზოგი.

საშუალო სკოლის მთელმა კოლექტივმა, ქალბატონმა დირექტორმა და მასწავლებლებმა რაც კი ყვავილები იყო სკოლის ბაღში დაკრიფეს, მოიტანეს და კალთა აუვსეს ბედრიეს. ჩაეხუტნენ, მოეხვივნენ, ლოყებს უკოცნიდნენ და თმაზე ეფერებოდნენ...

- გვიყვარხარ, ყოჩალო გოგო! ასეთ ქმარს შენნაირი ცოლი სჭირდება. ჩვენ მოვიყვანთ ბავშვებს და ვაჩვენებთ თქვენს ოჯახს, როგორც მისაბამ მაგალითს...

ბედრიე ტიროდა, არ იცოდა რა ეთქვა ან როგორ ეთქვა მადლობა...

მათ ქალაქში ჯერ არავისთვის გაუკეთებიათ ასეთი საქორწინო საჩუქარი. ერთ დღეს კვლავ მოიყვანეს ბავშვები. ისინი სელიმს მუხლებზე მოეხვივნენ.

„არ დაგივიწყებთ შენ რომ ჩვენთვის თვალის ჩინი დაკარგეო“- ყვიროდნენ. სელიმიც ჩაეხუტა მათ და „ორი კი არა, ათასი თვალი რომ მქონოდა, თქვენი ნათელი სახეებისთვის დავთმობდიო“- უთხრა თვალთან მომდგარი ცრემლებისგან ხმა-ჩახლეჩილმა.

**Memduh Shevket ESENDAL (1883-1952) –
„Thanksgiving Flower“**

Nato Kharshiladze

Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Georgia, 0179, Tbilisi, Ilia Chavchavadze Avenue №1,
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0001-8366-8820>

Abstract.

One of important writers of Turkish literature Memduh Sevket Esendal was born in 1883 in Corlu. At a young age he became a member of the Committee of Union. In this society, Esendal held important positions. He joined the National war that started in Anatolia. In 1921 Ankara Government sent Memduh to Baku Embassy, where he did very important work there. Sevket also worked in Tehran and Kabul embassies. On his return, he worked as a teacher in Istanbul high schools. After that, politics took place into Esendals life. He was deputy of Elazig and Belecik.

In 1945 Memduh withdrew from political life and literature took place instead. His stories were published in newspapers and magazines. The most important features of his works are smooth, clean Turkish and simple writing style. Following in the footsteps of his friend Omer Seyfetin. Esendal died in 1952 in Ankara.

Some of his famous works are stories: „Thanksgiving Flower“, „Under a handkerchief“, „Veysel Sergeant“, „Grasshopper“, „Our Nesibe“ and a novel „Ayasli and its tenants“.

Keywords: the war; hero; blind; flowers; love.

Translated from Turkish by Nato Karshiladze